



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
გაერთიანება

სარჩევი

ახალი წევრი	1
ჩატარებული ღონისძიებები	2
წევრთა სიახლეები	3
საკანონმდებლო და სხვა სიახლეები	4
ბილტმორი ჩვენი მკითხველებისთვის	5
DG Consult ჩვენი მკითხველებისთვის	6



ახალი წევრი ივნისის თვეში




მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ ახალი ალტერნატიული სივრცეა ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე. მისი სახელწოდება გამომდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან და გრძელვადიანი ხედვიდან და ნიშნავს ხიდს განათლებიდან დასაქმებამდე და პიროვნულ განვითარებამდე.

ალტერბრიჯი 2018 წელს დაარსდა საკონსულტაციო-სატრენინგო ცენტრის „PR-აკადემიის“ მიერ.

დამაკავშირებელი ხიდი მეცნიერებას, საზოგადოებას, განათლებასა და დასაქმებას შორის – ასეთია ალტერბრიჯის ამბიციური განაცხადი და ამ მისიის შესრულებას უნივერსიტეტი ახალი საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლების ტრანსფორმაციული მეთოდებით, უნიკალური ინფრასტრუქტურითა და სტუდენტზე მორგებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფით გეგმავს.

alterbridge.edu.ge

ოფიციალური წარმომადგენლობა



Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

ალინა დოსტი
alina.dost@dwv.ge

Messe Frankfurt და Fruit Logistica
ზაირა სოლოევა
zaira.soloeva@dwv.ge

თანამშრომლობა



კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge



DWV-ბიზნეს ფორუმი: მენარმეთა შესახებ კანონის რეფორმა და მისი გავლენა ბიზნესზე

3 ივნისს გაიმართა DWV-ფორუმი ონლაინ ფორმატში მენარმეთა კანონის რეფორმის შესახებ. ფორუმზე მოწვეული იყო გერმანიის ელჩი საქართველოში, **ჰუბერტ ქნირში**, რომელმაც მიმოიხილა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. მოხსენება გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, **ირაკლი ბურდულმა**.

ღონისძიებას მოდერაციას უწევდა DWV-ს აღმასრულებელი დირექტორი, **თომას კიმმესვენგერი**.

ფორუმი გახსნა DWV-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, **საპატიო დოქტორმა საშა ტერნესმა**,


რომელმაც მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია DWV-ს აქტივობების შესახებ. მოხსენების ფარგლებში **ირაკლი ბურდულმა** დეტალურად მიმოიხილა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა კანონის პროექტის სისტემატიკა და მისი სიახლე, დაფუძნების სამართალი, მართვის ორგანოთა კონცეფცია, კაპიტალურ საზოგადოებათა სამართალი და ბიზნეს სექტორისთვის საკვანძო სხვა საკითხები.

ფორუმის დასკვნით ნაწილში დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ, მომხსენებლისთვის დაესვათ კითხვები კანონპროექტის ირგვლივ.

ღონისძიებას, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, ესწრებოდა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი და პარტნიორი კომპანიებისა და ორგანიზაციების 50-ზე მეტი წარმომადგენელი.



DWV-Expert Talk: მონაცემთა დაცვა კერძო სექტორში



9 ივნისს, **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან** და **JG Counselors-თან** თანამშრომლობით ონლაინ ფორმატში გაიმართა DWV-Expert Talk მონაცემთა დაცვის შესახებ.

ღონისძიება გახსნა DWV-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, **თომას კიმმესვენგერმა**. შეხვედრას მოდერაციას უწევდა JG Counselors-ის მმართველი პარტნიორი, **სერგი ჯორბენაძე**.


სახელმწიფო ინსპექტორმა, ლონდა თოლორაიამ მოხსენება გააკეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში შეტანილი და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და გამოყო ის საკითხები, რომლებიც კერძო სექტორისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში გაიმართა საინტერესო დისკუსია, რა დროსაც მონაწილეებმა დასვეს კითხვები და წამოჭრეს არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვისაც საკვანძო აღმოჩნდა.

DWV-ტრენინგი: დღგ-ს ახალი რეგულაციები და მეთოდური მითითებები

10 ივნისს ჩატარდა DWV-სა და **Nexia TA-ის** ერთობლივი ტრენინგი თემაზე: „დღგ-ს ახალი რეგულაციები და მეთოდური მითითებები“.

ტრენინგზე, რომელსაც უძღვებოდა დავით მამრიკიშვილი, Nexia TA-ს საგადასახადო დეპარტამენტის დირექტორი, განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: რეგულირების მიზანი, ძირითადი ცვლილებები, ცვლილებები ტერმინებში, მომსახურების განევის ადგილი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება, ოპერაციები, რომლებიც არ განიხილება სა-



ქონლის მიწოდებად ან მომსახურების განევადა, ვაუჩერის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები, დასაბეგრი პირები, დღგ-ის ჩათვლა.

ტრენინგს ესწრებოდნენ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი და არა წევრი კომპანიების წარმომადგენლები, მათ შორის: არქთრეიდი, აჭარა ელიტაუდიტი, ბიოტექსი, ერთობლივი სანარმო აზფენი-ს საქ. ფილიალი, კნაუფი, კონრად ადენაუერის ფონდი, მეიჯერელი, ფინანსური და ადმინისტრაციული სერვისების საზოგადოება, ჯი ეი ნიკიშ, ძამაშვილი კონსულტანტს და სხვ.

DWV-Expert Talk: CFO-ს როლი კომპანიის შედეგების გაუმჯობესებაში



23 ივნისს DWV-ს ორგანიზებით, **Nexia TA**-სთან პარტნიორობით, სასტუმროში „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი“ გაიმართა ღონისძიება DWV-Expert Talk თემაზე „CFO-ს როლი კომპანიის შედეგების გაუმჯობესებაში“.

ღონისძიება გახსნა DWV-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, **თომას კიმმესვენგერმა**. ღონისძიება გაგრძელდა Nexia TA-ის მმართველი პარტნიორის, **გელა მღებრიშვილის** გამოსვლით, რომელმაც ზოგადი შესავლის შემდეგ სიტყვა გადასცა მომხსენებელს, CFO Outsourcing მიმართულების მენეჯერს, **ვახტანგ ქელბაქიანს**. მან დამსწრე საზო-

გადობას გააცნო CFO-ს როლი და მოვალეობები კომპანიაში და ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ ეხმარება კვალიფიციური CFO ორგანიზაციებს სხვადასხვა სირთულეების დაძლევისა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. პრეზენტაციისას გაჟღერდა ინფორმაცია **Nexia TA-ის ახალი სერვისის შესახებ**. დასკვნით ნაწილში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, დაესვათ კითხვები, რომლებსაც ამომწურავი პასუხი გასცეს მომხსენებლებმა.

ღონისძიების ბოლოს DWV-ს იმ წევრებისთვის, რომლებიც ღონისძიებას ესწრებოდნენ, გელა მღებრიშვილმა **ექსკლუზიური შეთავაზების შესახებ გამოაცხადა**, რის შემდეგაც ორგანიზატორებმა მონაწილეებს ყავის მენიუზე უმასპინძლეს.

DWV-Expert Talk: CFO-ს როლი კომპანიის შედეგების გაუმჯობესებაში

24 ივნისს DWV-ს ორგანიზებით და **ALTERBDIRGE**-სთან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „თვითმოტივაცია პროფესიული დაოსტატებისთვის“. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის იმის გაცნობა, თუ რა არის შინაგანი მოტივაციის დანიშნულება და მისი როლი პიროვნულ/პროფესიულ ზრდა-განვითარებაში.

ტრენინგს უძღვებოდა მაკო ჯაოშვილი – პოზიტიური ფსიქოკონსულტანტი, PH.D., ასოცირებული პროფესორი, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ ვიცე რექტორი.

ტრენინგი გაიმართა ALTERBDIRGE-ის თანამედროვე და კომფორტულ სივრცეში, სადაც მონაწილეებმა ინტერაქტიულ რეჟიმში სინერგიულად იმუშავეს სხვადასხვა დავალებაზე, შეასრულეს პრაქტიკული სავარჯიშოები და მონაწილეობა მიიღეს გონებრივ იერიშში.

ტრენინგში მონაწილეობდნენ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი და არაწევრი კომპანიების წარმომადგენლები, როგორებიცაა ალტერბრიჯი, ავერსი, კლინტეჟი, მაიტალენტი, მეიჯერელი, რენტალსი, საოფისე ტექნოლოგიები და სხვ.



წევრთა სიახლეები

> **ორიენტ ლოჯიკი** არის wCIS-ის მასშტაბით ერთადერთი კომპანია, რომელმაც Dell Technologies 2021 წლის საპარტნიორო ფორუმზე ერთდროულად ორ ნომინაციაში გაიმარჯვა

> **Rentals-მა** ხელი მოაწერა ექსკლუზიურ საბროკერო ხელშეკრულებას GPI Holding-სა და Irao-სთან

> **NEXIA TA Georgia** გადახდებს ბიტკოინში მიიღებს

> **Goethe-Institut Georgien** მასწავლებლებს საბაფხულო ბანაკში იწვევს

> **German Sparkassenstiftung Georgia-მ** ჩაატარა კვლევა საქართველოში კლიმატის ცვლილების რისკების შესახებ

> საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, **Majorel Georgia** ერთ-ერთია იმ ტოპ 20 კომპანიას შორის, რომელმაც საქართველოს ეკონომიკაში 2021 წლის პირველ კვარტალში მსხვილი ინვესტიცია ჩადო

> **Schuchmann Wines-ს** კახეთის სოფელ კისისხევში წლის ბოლომდე ახალი სპაცენტრი დაემატება

საკანონმდებლო სიახლეები

> კანონში **შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ** ცვლილებები შევიდა. კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო 2020 წლის 21 მაისს, ითვალისწინებს შენობების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების ამოქმედებას 2021 წლის 30 ივნისიდან. თუმცა, COVID-19 პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო ამ პერიოდში ვერ ესწრება მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოებში. შესაბამისად, 2021 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული კანონის მიხედვით დადგინდა შენობების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების ამოქმედების ვადა 2022 წლის 30 ივნისიდან, ნაცვლად – 2021 წლის 30 ივნისისა. [გაიგეთ მეტი](#)

> 2021 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა ახალი კანონი „**რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ**“ რომელმაც ჩაანაცვლა ძველი კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. ახალი კანონით შეიცვალა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მთავარი პრინციპი რაც მდგომარეობს კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილებას რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით. [გაიგეთ მეტი](#)

> 15 ივნისს **DWV-მ პარლამენტს წარუდგინა** მის წევრებთან (აჭარა ჯგუფი და სხვა) ერთად მომზადებული **მოსაზრება „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“** კანონპროექტთან დაკავშირებით.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება მიესალმება და სრულად იზიარებს წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის ძირითად არსს და მიზანს, რაც თავის მხრივ საფუძველს უყრის განისაზღვროს ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა და დადგინდეს ქარსაფარი ზოლების აღდგენასთან, გაშენებასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. მიგვაჩნია, რომ აღდგენილი და სათანადო წესების დაცვით მოვლილი ქარსაფარი ზოლები მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაზრდასა და განვითარებაში.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი მოსაზრება (ქართულ ენაზე), შეგიძლიათ იხილოთ [ამ ბმულზე](#).

[გაიგეთ მეტი](#)

სხვა სიახლეები

> საქართველოში **საერთაშორისო კომპანიის სტატუსით** 14 IT-კომპანია და 3 საზღვაო კომპანია სარგებლობს საერთაშორისო საწარმო სტატუსის ფარგლებში ნებადართულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს საქართველოში. ასეთ კომპანიაში სამემოსავლო გადასახადი და მოგების გადასახადი 5-5%-ია. საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან, თუ ეს ქონება ნებადართული საქმიანობის განხორციელებისათვის არის გამიზნული ან გამოიყენება.

> **თბილისის ღია კაფეები** წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტისთვის გადასახდელი **იჯარისგან თავისუფლდება**.

> **მსოფლიო ბანკი** COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამის გაძლიერების მიზნით საქართველოს დამატებით \$34.5 მილიონის გამოუყოფს.

> გაიხსნა **ქუთაისის განახლებული აეროპორტი**, რომლის მგზავრთა გამტარუნარიანობა წელიწადში 2.5 მილიონამდე გაიზარდა. გაფართოების შედეგად, აეროპორტის ტერმინალის საერთო ფართობი 30,000 კვ.მ-მდე გაიზარდა.

> **მოქალაქეებს „112“-ის წინაშე დაგროვილი დავალიანება ჩამოენერებათ.**

> **საქართველო აძლიერებს თანამშრომლობას EBRD-სთან და AFD-სთან.**

> **გერმანიამ საქართველოს 24 მილიონ EUR-მდე გრანტი გამოუყო.**

Covid-Update

> 22 ივნისიდან ღია სივრცეებში **პირბადის ტარების ვალდებულება იხსნება**. გარდა ამისა, 1-ლი ივლისიდან მოიხსნა **გადაადგილებაზე არსებული შეზღუდვაც**. თუმცა, **რესტორნებს** ოპერირების უფლება აქვთ ღამის 12 საათამდე. საქართველო მომდევნო კვირების განმავლობაში ვაქცინების ახალ მარაგებს მიიღებს.



THE BILTMORE
TBILISI

Special offer from The Biltmore Tbilisi Hotel

Enjoy the mouthwatering choice of our freshly cooked croissants and danishes in Parlour lobby bar



15 GEL - coffee or tea with orange fresh juice and one choice from pastry

10 GEL - only coffee or tea with one choice from pastry

For detailed information contact us: + 995 322 72 72 72



THE BILTMORE
TBILISI





DG Consult გერმანულ-ქართული ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც გერმანიის და საქართველოს ბაზარზე ბიზნეს საკონსულტაციო და სამედიცინო მიმართულებით ოპერირებს.



DG Consult GmbH-ს პარტნიორი კომპანია teamtwo რომელიც არქიტექტორების, კონსტრუქტორების და ინჟინრების ჯგუფისგან შედგება და BIM ტექნოლოგიის საშუალებით პროექტირების ყველა სერვისს ერთ სივრცეში აერთიანებს, სთავაზობს კომპანიებს გერმანიაში გრძელვადიან თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებით:

- წინასაპროექტო დაგეგმარება, დიზაინის განვითარება, დაგეგმვა და დამუშავება, დამკვეთთან შეთანხმებით კონცეფციის შემუშავება და სქემატური დიზაინი
- ესკიზების დაგეგმარება - ჭრილი ნახაზების და ფასალების ესკიზების შედგენა, დეტალების შეთანხმება
- დეტალური დიზაინი - სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება, საჭირო დეტალური გეგმანახაზების შედგენა

ჯგუფის კომპეტენცია:

- მრავალწლიანი გამოცდილება საერთაშორისო ფრენჩაიზ-სასტუმროების პროექტირებაში
- გერმანულ კომპანიებთან თანამშრომლობის გამოცდილება
- 200-ზე მეტი განხორციელებული პროექტი ამერიკის ბაზარზე
- 350-ზე მეტი განხორციელებული პროექტი ქართულ ბაზარზე
- IBC-ის (International Building Code) ცოდნა

გამოყენებული ტექნოლოგიები:

- AutoCAD, Revit
- Bluebim, Smartsheet, BaseCamp



თუ დაინტერესებული ხართ შემოთავაზებული სერვისებით, დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

nino.nasidze@dg-consult.net
ina.odermatt@dg-consult.net

პარტნიორი კომპანიის ვებჯვრდი:
www.teamtwo.ge

